ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 43

6 მარტი

"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „გუდაური სქი რესორტის" გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 127² მუხლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს **N21-85 დადგენილებით** დამტკიცებული წესის **მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი** შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიცვალოს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების დანართი, „შპს „გუდაური სქი რესორტის" (ს/კ 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის N18.24.40 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „შპს „გუდაური სქი რესორტის" (ს/კ 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის N18.24.40 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული გეგმა - გრაფიკის მე-3 პუნქტის

დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) გათავისუფლებაზე.

3. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ 204576066) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 22 თებერვლის N18.24.40 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესრულების ვადის დარღვევისთვის, 2016 წლის 31 აგვისტოდან 2016 წლის 14 სექტემბრამდე, დაკისრებული პირგასამტეხლოს - 65 000 (სამოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებისაგან შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) გათავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ შპს „გუდაური სქი რესორტი“ (ს/კ: 204576066), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, უარს იტყვის სარჩელზე მოპასუხე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიმართ, (დავის საგანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 4 ოქტომბრის N01-8/6797 წერილის/გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლება), აღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდგომ, შესაძლო მოკლე ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველივე სხდომის ჩანიშვნისა, ამასთან, უარს იტყვის სარჩელზე და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

4. შპს „გუდაური სქი რესორტის“ (ს/კ: 204576066) მიერ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ამ განკარგულების მე-3 პუნქტი.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში „გამყიდველი”) წარმოდგენილი უფლებამოსილი წარმომადგენლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ----- სახით, ხოლო მეორე მხრივ, შპს „გუდაური სქი რესორტ“ (ს/კ: 204576066) წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელი, გვარი) სახით (შემდგომში „მყიდველი“),

“ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის ----- განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის N---- განკარგულების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების დანართით წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკი ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

2. შეთანხმება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება საჯარო რეესტრში წარდგენას.

3.წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონდე სასამართლოს.

4. წინამდებარე შეთანხმება ექვემდებარება სანოტარო ფორმით ხელმოწერის დამოწმებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. აღნიშნული ხარჯების ანაზრაურების ვალდებულება ეკისრება „მყიდველს“.

5. შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორ-ორი ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„გამყიდველი“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

„მყიდველი“
შპს „გუდაური სქი რესორტ“